F567 ✓3288

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

# საბჭოეთის ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 14 (151)

აგვისტო, 1966 წელი



საქართველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე.

# იქნება 930 ჭონა

**განუწყვეტელი** ნაკადით მიდის სატვირთო ავტომანქანები ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკაში. მათ მიაქვთ ბათუმისა და ქედის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოყვანილი „მწვანე ოქრო“. ფაბრიკიდან კი სატვირთო ავტომანქანებს ნავსადგურსა და რკინიგზის სადგურში მოაქვთ სურნელოვანი ქართული ჩაი.

...ავტომანქანა მიუახლოვდა ცენტრალურ მისაღებ პუნქტს. ცემენტის დიდ მოედანზე გადმოტვირთეს დიდძალი მწვანე ფოთოლი. ხარისხის ანალიზის შემდეგ ნედლეული ლენტიანი ტრანსპორტიორით მიდის საღნობ აგრეგატებში. ფაბრიკაში ოთხი ასეთი აგრეგატია და თითოეული მათგანი დღე-ღამეში ამუშავებს 20 ტონამდე ჩაის ფოთოლს. შემდეგ ჩაის ილებენ როლერის განყოფილების მუშაკები. აქ სამ ჯგუფად შეერთებული მანქანები გრეხავენ ჩაის ფოთოლს. სპეციალური რეჟიმის საშუალებით გრეხისა და ფერმენტაციის პროცესები ერთდროულად მიმდინარეობს და ამიტომ საფერმენტაციო განყოფილება, რომელიც საჭიროა შავი ბაიხაო ჩაის დასამზადებლად, ახლა გაუქმდა. ნედლეულის გადამუშავების ხანგრძლიობა 3-4 საათით შემცირდა.

შემდეგ ჩაის ნედლეული მიდის საშრობ საამქროში, აქედან კი ჩაის დასახარისხებელ კომბაინში. ეს აგრეგატი ამ ცოტა ხნის წინათ ამუშავდა და პირველად ხელვაჩაურის ფაბრიკაში შეამოწმეს. ახლა დასახარისხებელ საამქროში არც ერთი ძველი მანქანა არ დარჩა: მათ ნაცვლად დახარისხების ყველა პროცესს ერთი კომბაინი ასრულებს.

ასეთია ჩაის გადამუშავების ყველა პროცესი.

ფაბრიკის დირექტორი არჩილ მამულაიშვილი სიამაყით ასახელებს ფაბრიკის იმ მუშაკებს, რომლებიც კარგად დაეუფლენ უახლეს ტექნიკას, გვიჩვენებენ თავდადებული შრომის მაგალითს. დირექტორმა აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს ფაბრიკაში დაინერგა ბევრი სიახლე, მათ შორის შავი და მწვანე ბაიხაო ჩაის კომბინირებული წარმოება.

ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკას უკვე მესამე წელიწადია ზედიზედ ენიჭება „საქართველოს ჩაის“ ტრესტისა და კავშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა.

შესანიშნავ შრომითს წარმატებებს მიაღწია ფაბრიკის კოლექტივმა ახალ სეზონშიც. ნახევარი წლის დავალება ვადაზე ერთი თვით ადრე შესრულდა. დაბალი ხარისხის ჩაის გამოშვების შემცირების შედეგად გეგმის გადამეტებით დამზადებულია დიდძალი უმაღლესი ხარისხის შავი ბაიხაო ჩაი.

მომდინარე სეზონში ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკა დაამზადებს 930 ტონა ბაიხაო ჩაის, აქედან 100 ტონას წლიური დავალების გადაჭარბებით.



ამას წინათ საქართველოში თავიანთ. ქართველ მეგობრებთან სტუმრად იყვნენ ფრანგი პარტიზანები, რომლებსაც თან ახლდათ ჩვენი თანამემამულე პეტრე ქიტაიშვილი მეუღლითურთ. სურათზე: მარცხნიდან პირველ რიგში— პ. ქიტაიშვილი, ქ-ნი ლ. რუტაბული, პ. ბუსკეი, პ. ქიტაიშვილის მეუღლე ქ-ნი პოლეტი, მ. გოდეფრუა, მეორე რიგში — ჟ. ბესსი, პ. მორლეი, მ. დეუპუი, რ. რანუსი, ჟ. ლესტანგი.


# საირმე დღეს და ხვალ

მაიაკოვსკი. ფართოდ არის ცნობილი კურორტ საირმის სამკურნალო წყლები, ისინი თირკმელებიდან დენიან კენჭსა და სილას ქირურგის ჩაურევლად. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ საირმის წყალს მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს.

ყოველწლიურად სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება კურორტი. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე აქ აშენდა ოთხსართულიანი სანატორიუმი, სასტუმრო, პოლიკლინიკა, ათობით კოტეჯი, მოწესრიგდა მინერალური წყაროები, მდინარე წვალარა რკინაბეტონის კალაპოტში მოექცა, აშენდა რამდენიმე კაპიტალური ხიდი. აქ არის კინოსაკონცერტო დარბაზი. დამთავრდა ცენტრალური პარკისა და სკვერის კეთილმოწყობა, გაიხსნა ათობით ახალი მაღაზია და საზოგადოებრივი კვების ობიექტი.

ახლა კურორტი ახალმშენებლობათა ბარაჩოებშია. შენდება სამსართულიანი სასტუმრო საქართველოს მინერალური წყლების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებისათვის. სამხრეთ ფერდობზე აშენდება თორმეტსართულიანი სასტუმრო. ამ შენობაში მოთავსდება აგრეთვე სამკურნალო დაწესებულებანი. განწყობილია აშენდეს ჰაერ-ბაგირის გზა. მომავალში კურორტი საირმე მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს.

# დედაქალაქი



**ლამაზია** საქართველოს დედაქალაქი, მისი პროსპექტები, ჟუჩები, პარკები, ბაღები და სკვერები. ლამაზია თბილისის სანაპირო. მეტნი ხომ გაბსოვთ. ახლა ამ უბანს ველარც კი იცნობთ, გამოიცვალა, დამშვენდა. აი, ასეთია მეტეხი ღამით.

**ნეტავ სად არი კიდევ ცა —**
**უძირო, ლურჯი ხალასი,**
**სწორედ ისეთი, როგორც შენია?!**

**ჩემს** დღეში არ მიგრძვნია მარტოობა და მოწყენა თბილისში. როცა ქალაქში ამდენი ხეა, სულ გაზაფხულის მოლოდინში ხარ. გათენდება ერთი მშვენიერი დილა, და თბილი ნიავი გაზაფხულს მოიყვანს. თბილისის გაზაფხულს ხომ არაფერი შეედრება! აბა რა უნდა ჩემთან მოწყენა!

მაგრამ ხანდახან, როცა ცივი კოკისპირული წვიმები გადაეღობებიან გაზაფხულს, გეჩვენება, თითქოს თავის ღღეში აღარ დაბრუნდება იგი, თითქოს შენი ცხოვრებიდან მთელი დიდი მონაკვეთი წელიწადისა ამოვარდა. მარტო ამ დღეებს შეიძლება ვუწოდოთ თბილისში „ოდნავ სევდიანი“, რადგან ასეთი გაზაფხული არაბუნებრივია. ის ხომ პირდაპირ და ჩუმად შემოდის ხოლმე. სულ სხვაა შემოდგომა. მის „სევდას“ თითქოს წინასწარ შერიგებული ხარ. ყოველწლიურად კვდება ხოლმე რაღაც შენს არსებაში, როცა ფოთლები იწყებენ ცვივნას, ხოლო გატიტვლებული ტოტები უმწეოდ ქანაობენ ქარში ზამთრის ცივ სინათლეზე. მაგრამ იცი, რომ გაზაფხული უთუოდ მოვა, რომ ზამთარი საკმაოდ ცივი იქნება, და გიხარია. მერმე ეს დღეებიც გაივლის. ბოლოს და ბოლოს გაზაფხულიც მოვა.

დიახ! გაზაფხული მოვა ჩემს ქალაქში და სხვანაირ სიცოცხლესაც შემოიტანს. ტანმაღალი ჭადრების კვირტები უმწვანეს ფოთლებად დასკდებიან, ასეთივე ფერი მოეძალება მთაწმინდას, მახათას, ნარიყალას. დიღმისა და შავნაბადას, კრწანისისა და ოქროყანის შემოგარენი სისხლისფერი ყაყაჩოების ჯარით გაივსება. ჰაერში გრილი ნიავი დატრიალდება, ცა გამუქდება და გაკამკამდება, ღამეები საოცრად ნათელი და მთვარიანი გახდება.

თბილისი ხმაურობს და ბობოქრობს. ქარხნების მბოლავი მილებითა და თეთრი შენობებით ხომალდსა ჰგავს, რომელიც ზღვაში გასასვლელად ემზადება. იგი ცურავს ღამის თეთრ ტალღებზე! არ შეგეძლია იყიდო თბილისის ეს ღამე თავისი მილიონი ვარსკვლავით, არც ეს სულიერი სიმშვიდე, არც ეს ხანმოკლე მეუფება სამყაროზე! მთაწმინდაზე დგახარ და გასცქერი „ციცინათელების ბუდეს“, გიჭირს ერთიანად აღიქვა ქალაქის ღიმილი, სიცოცხლე, სილამაზე...

სიდიადე, რომელიც განთიადს მოაქვს, არ შეიძლება იყიდო ფულით, როგორც არ შეიძლება ყიდვა ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივებული თბილისური ღამეებისა.

ქალაქი კაცზე უფრო მაგარია; იგი იტევს ათასობით სიცოცხლეს, ზრდის შთამომავლობას, ნელნელა მიცურავს წინ და მხრებზე ლოდებივით როდი აწევს საუკუნენი. მისი მკერდი ყველა ქართველის თავშესაფარია, საიდანაც სიბრძნედალეული და მძლავრი ვუბრუნდებით მთელ საქართველოს.

საქართველოს გული თბილისია! ამიტომ საქართველო რომ გასინჯო, თბილისი უნდა ნახო, მისი სისალე, ფერი. სახე უნდა შეიგრძნო და აღიქვა. უნდა ნახო და განიცადო, მერმე კი მას შესწევს ძალა დაგიმონოს, მიგიჯაჭვოს, დაგიტოვოს ტკბილ მოგონებათა უმრავი სასიამოვნო განცდა. დიახ! თბილისს შეუძლია ერთიანად დაიპყროს თქვენი გული, როგორც სულიერად და ხორციელად უმშვენიერეს არსებას შეუძლია მიგიზიდოს და მასზე ოცნებაში გატარებინოს ღამეები.

თბილისს თავისი, განსაკუთრებული ცხოვრება აქვს. მილიონიანი ქალაქი მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე გადაჭიმულა. ულამაზესია იგი. და თუ გინდა გაიცნო მისი მშფოთვარე გული, ყური უგდო მის ჯანსაღ მაჯისცემას, თვალყური ადევნო მისი სისხლის მოძრაობას, უნდა ახვიდე მთაწმინდაზე და გადმოხედო!

გინდ ზღაპრებში ძებნო, ვერ იპოვნი ამ სილამაზეს!

მთაწმინდიდან თითქმის მთლად ჩანს ჩემი თბილისი. ამ ბოლო დროს უკვე ჰერს თვალთახედვა მისწვდეს ნავთლუღისა და დიღმის მასივებს. თეთრი შენობებისა და კოშკურა ამწეების ჯარები ნელნელა მიიწევენ წინ და სადაც შორს უერთდებიან ჰორიზონტს. მხრებს შლის და იზრდება იგი. პირდაპირ, სადაც ახლა თბილისის ზღვა შეგიღუნება, მოასფალტებული გზის შავი ზოლი მიიკლაკნება ახალი დასახლებისაკენ.

თბილისში ზაფხულია. წელს გაზაფხული ადრე გვესტუმრა. იგი არ ყოფილა ცრუ გაზაფხული — პირდაპირ მოვიდა. წინ არ გადაჰღობია ცივი, სევდიანი წვიმები, გამჭოლავი ქარები. თბილისს არ სჩვევია ასეთი გაზაფხული. უცებ იცის სიმწვანემ მოსვლა და ორმაგი სიცოცხლე მოაქვს. ჟრიამული და მოძრაობა მატულობს. ასე გრძელდება ივნისამდე... მერმე კი ოდნავ ნელდება თბილისის ცხოვრების ტემპი. დგება აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი მშრალი კონტინენტური ამინდი. თბილისის ცაზე შრიალა კობოსფერი მზე ჰკიდია ზაფხულის გრძელი დღეების განმავლობაში.

დღესაც მზიანი დღეა. ცხელა... თბილისი მაინც ხმაურობს ჩემს ჭვეშთ. ეს ხმა ცოტა შენელებული და ყრუა. მაგრამ მასში იგრძნობა საღამოს მოლოდინი, ლტოლვა სიგრილისაკენ, თბილისური ღამისთვის მზადება. თბი-

(დასასრული მე-6 გვერდზე.)

# ჰარ ახალ ქართლის თანამედროვე

გიორგი ლეონიძე

## ვუმღერ სამშობლოს

სულ ჩემი გულის მონაწურია,
რაც დაეპწკარა ქაღალდს ლექსები,
ვუმღერ სამშობლოს, კიდევ მწყურია,
და მის სიყვარულს დავემწყემსები.

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები.
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები
თუ სამშობლოსგან გავიწირები!

მარადი შუქით ბრწყინვალებს იგი,
მისი ნათელი დამთოვებია,
სიცოცხლე — მისი მშვენების იქით
ერთ ნაბიჯზედაც არ მდომებია!

აყღერდეს მისთვის პოეტის ენა
და ტკბილი სიტყვის გამართულობა;
ვით ღონიერი ნიაღვრის დენა,
ჩემი თქმულობა, ლექსქართულობა!

დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი, —
ეს ყვავილები მე დავაგროვე;
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე!

გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი;
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

ალიო ადამია

## სხვა არი შენი ლექსის ბარაქა

წუხილის დროსაც ლექსი იღვრება,
ულექსოდ ვერ ძლებს ქართველის გული,
მაგრამ სხვა არის შენი სიმღერა
იორის ზვირთებს დაჯახებული.

სხვა არის შენი ლექსის ბარაქა,
ნაპერწკლიანი შენი ქართული!
უგერგელი და გოგოჭარი,
ყალყზე შემდგარი და შემართული.

შენ იყავ ჯიქი! ვეფხვი ნამდვილი,
ივრის ჭალების შუქო ნათელო,
გომბორის მთიდან გადმოგარდნილი
ლექსად მოედე მთელ საქართველოს...

ჭართველ მწერალთა კარზე ისევ ჩამოირეკა ზარი გლოვისა. ეს დღისა და ღამის ზღვარი კი არ არის, სულისა და ხორცის გაყრაა!

ქართული ლექსი ძაძით იმოსა. შავ ჩარჩოში ჩაჯდა ქართული წიგნი.

კვლავ კალმების დახრისა და შემჭიდროების დღეა, შემოქმედი შუბლის შეკვრისა, ისევ ამოუვსები ხარვეზის შეძლებისდაგვარად თავმობმის უამია!

ხშირად იტყვიან ხოლმე, რომ შეუცვლელი პიროვნებანი არ არსებობენ... დიდი მწერლების მიმართ ეს მეტად პირობითია!

გიორგი ლეონიძე დიდი, გამოკვეთილი, ვეება ნიჭისა და თავისი სამყაროს მქონე შემოქმედი იყო, და ამიერით მას ველარავინ შეცვლის, ისე როგორც არსებითად შეუცვლელნი დარჩნენ ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი...

ისევ უბეს შლის მთაწმინდა. ამ ბოლო დროს მან მეტად დიდი ღალა აიღო, უფრო დიდი, ვიდრე სამშობლოს ერთობლივმა აკვანმა ახალი ფარდი ნიჭი შვა.

წავიდა სიცოცხლიდან დიდი მგოსანი და მოღვაწე, დაუცადელი შემოქმედი და მოუსვენარი მკვლევარი. ისე მოულოდნელად დაეცა, რომ ვერც სამშობლოს სიყვარულით იჯერა გული და კალმის მიღმაც უამრავი გამომწიფებული წიგნი დარჩა.

შეირხა ახალ-ქართული ლექსის ჯაგარი, და ის, რაც სისხლსავსე სიცოცხლით ჩქეფდა და ბრწყინავდა, ამიერით უკვდავების კრთომით აღივსო.

გადაიწურა დიდი მგოსნის ხორციელი წუთისოფელი. დადუმდა ლომის ბუბუნი, მისი ოდნავ ხრინწიანი ხმა, აურიამოულებულ ქუჩებში აღარ გაელვებს მისი ცოტა აჩეჩილი მხრები, მკაფიო და მძლე, თითქოს ბოლნისის ქვიდან მოკვეთილი სახეხეული.

ადამიანის გარდაცვალება, საზოგადოებრივად, საზომების გამოცვლასაც ნიშნავს. ერის მეხსიერება უველაზე დიდი სამხილავი და განსაწმენდელია. და მრავალ დიდს ამ ქვეყნისას მხოლოდ სამარის კარამდე მიჰყვა თავისი საქმე და სახელოვნობა.

გიორგი ლეონიძე, ერში ლექსად გასული გოგლა, მუდამ სხვა ანდმატიანი შემოქმედი იყო. იგი თითქოს რამდენიმე ნიჭით აღსავსე კაცისაგან იყო შენადუღარი.

ლექსი, პოემა, მხატვრული პროზა, კვლევა, ლიტერატურული და ისტორიული ძიება, მოძმე ლიტერატურათა მცოდნეობა, ხელმძღვანელი რედაქტორობა, ინსტიტუტის მესვეურობა, მრავალ საზოგადოებათა ბურჯობა, თავდაწერილი ეროვნული მოღვაწეობა.

მისთვის გულგრილობა ისევე უჩვეულო იყო, როგორც ნელი სიარული ან ულექსოდ ნათევი ღამე. მუდამ შემოქმედების ქარბორბალაში მშფოთვარე ყოველი სამშობლოსეული და მწერლური მისთვის იყო უაღრესად ახლო შემხები და არაფერი ადამიანური მისთვის არ იყო უცხო!

იშვიათად თუ რგებია ვინმეს ბედი მშობლიური ენის ასე გრძნობისა და ფლობისა. ერის ჩანგის მფლობელიც იგი იყო. ამიტომაც ყოველი მისი ახალი ლექსი თუ გუნდი ლექსთა ჯერ ფრთამალ ვერცხლად დაივლიდა მთელ საქართველოს, გულში ჩაუბუდებდებოდა მრავალ მკითხველს. მერმე სიტყვა-სიტყვად ჩაჯდებოდა წიგნებისა და ლექსიკონების სათანადო ბუდეებში, როგორც ქართული სიტყვის ახალი თარგულკაზმული!

ხალასი ნიჭისა და პოეტური ბუნების კაცი, ცოცხალი „დედაენა“ და „ბუნების კარი“ ერთად, ჩვენს შორის „მომდინარე“ იორი და ალაზანი, ხან პირმცინარე, ხან ბობოქარი ერთად, ზოდებისა და ზათქის მომტანი, ჩაძიებული მკვლევარი — ხელნაწერების ხელი, ბუნების გულმომისანი, აღფრთოვანებული ტრფიალი ხორციელი და სულიერი სილამაზისა!

გიორგი ლეონიძე, როგორც ლიტერატურული მოვლენა, იმ სამკუთხედის არეშია, რომლის განმსაზღვრელი ისეთი სხვადასხვა დროისა და ხასიათის მწერლები არიან, როგორიც საბა-სულხანი, ბესიკი, ვაჟა-ფშაველა!

იგი საოცრად გრძნობდა საქართველოს უოველ სულიერ თუ უოფით გამოვლინებას, აკადემიიდან მარნებამდე... მის დაუცხრომელ ოცნებაში ერთად თავსდებოდნენ ძველი, დანგრეული ტაძრები, სასახლეები და ახალი ჭოხ-სამკითხველოები, ბულდოზერები და ატომური დანადგარები, ალაზნის ჭალები და ივრის არხები, წინანდლის ვარდები და მარტოდ მდგარი ოლეები!

იგი, სულით და ხორცით დიდებული ქართლოსიანი, ჩვენს მჭექარ საუკუნეში, ჩვენს შორის ჭარს შერკინებულ ნატვრის ხედ იდგა. ლექსსა და ხატოვან სიტყვას ხმლად იქნევდა, ჯაჭვის პერანგად აცმევდა თავის ერსა და მწერლობას! „არ დაიდარდოს“ გულითა და ღვიძლით წერდა; სხვას ამშვიდებდა, თავად შემხნევებულად დარდობდა, და სწორედ გულ-ღვიძლში სწვდა მსახვრალი ხელი!



ლეონიძე ორმაგ გზაჯვარედინზე იდგა და ბევრ რასმე აკავშირებდა... იგი ამჟამად ჩვენ მწერალთაგან უველაზე დიდი, ცოცხალი ხიდი იყო ძველსა და ახალ თაობათა შორის. მან დახურა ვაჟასეული ფრთა, საუკუნის მიჯნიდან მადლიანად გადმოწვდენილი.

...და ლეონიძე უველაზე უფრო მორჭმული და ფესვგადგმული, ხალხურ სწყისებნაწოვარი მგოსანი იყო... ლექსად მოსული ქართული მიწა თავისი მთებით, ველებით, ზეცითა და მიწად ქცეული წინაპრებით... ჩამოხვეწილი, ჩუქურთმიანი, მზენასვამი შემოქმედებით! ამიტომ ახლავს მის ყოველ ლექსს ბუნებრივი სურნელი დაღვრილი ხსენისა, ხან დასეტყვილი ვაზის მტევნისა, ხან ახალგალეწილი ხორბლისა, ხან ცხელი თონიდან ამოყრილ დედას პურისა!

კეთილ წიგნს დაობლება არ უწერია, დამწერის შემდეგ მთელი ერი ხდება მისი მიმრქმელი. ამიერით ახალქართული მწიგნობრობის თითქმის უოველ დარგში მარად დარჩება ლეონიძური კალმის და სულის მადლიანი მონაკნიერი! მისი წიგნები და ლექსები ჩვენს შორის ისე ივლიან, როგორც მომავალში გატყორცნილი თანამგზავრები!

კიდევ ერთი მთაწმინდელის დასავანებით ამაღლდება უკვდავების წიგნად გადაშლილი მთა! უფრო გულმხურვალედ გადმოადგება თბილისს! ჩვენც უფრო გულისხმიერი აღტაცებით აღვაყრობთ მზერას. დიახ, „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ, უდიდესი ჩვენი ერთობლივი რწმენისა და სიყვარულის „წიგნი“ ხომ მთაწმინდაა...

ჩვენი გულები შევამჭიდროთ, დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს კალმებს, ფიქრებს, დარდებს... სადღეისო და სახვალიო საქმიანობას... ვიმოქმედოთ, ვიხწავლოთ, ვიმუშაოთ, ვწეროთ წიგნები, ჩვენი ერისა და მთაწმინდის შესაფერისი... ეს იქნება ჩვენი ნუგეში!... თუ კალამი კალმობს, იგი ერის სულის საზომი და თერმომეტრია! ეს თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ერთხელ კიდევ ნათელყო მთაზე წასულმა გიორგი ლეონიძემ — აწ მთაწმინდელმა!

**ლევან გოთუა.**

* * *

სურათზე: გიორგი ლეონიძე და ინგლისელი ქართველოლოგი დავიდ ლანგი.

# მიჯნურობა არის ტკრფა...

**ვეფხისტყაოსანი** უწინარეს ყოვლისა მგზნებარე და თავისუფალი სიყვარულის, მიჯნურობის ჰიმნია. „სიყვარული აგვამაღლებსო“, თავისი სახელოვანი გმირის პირით ამბობს პოეტი (791,3). ეს ამამაღლებელი სიყვარული ვეფხისტყაოსნის გმირთა (ნესტანისა და ტარიელის, თინათინისა და ავთანდილის) ზნეობრივი ცხოვრების მასულდგმულებელი უშრეტი წყაროა. იგი ალამაზებს, ააზრიანებს და ახალისებს იმათ სიცოცხლეს, გმირობისა და მამაცობის სტიმული ხდება. ნესტან-დარეჯანი იმთავითვე გარკვევით აფრთხილებდა მიჯნურობისაგან გახელებულ საოცნებო სატრფოს (377, 1-1);

ბედითი ბნედა, სიკვდილი,
რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენნე
საქმენი საგმირონია.

რუსთველური სიყვარული აწრთობს ვაჟკაცის ნებისყოფას, მის ზნეობას, მის ფიზიკურ გამძლეობას. სიყვარული უმახვილებს მიჯნურს საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებას, უძლიერებს სამშობლო ქვეყნისადმი თავგამოდების წადილს.

სიყვარულმა გამობრძმედა და გააკაჟა ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები, გმირული სული გაუღვივა როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს. სიყვარულმა დაახლოვა და დააძმობილა პოემის სამი შესანიშნავი ვაჟკაცი — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი. სიყვარულმა შემუსრა ხატაეთი, ქაჯეთის ციხე. სიყვარულმა შესძინა ნორჩ ქალწულ ნესტანს გოლიათური მორალური ძალა. ქაჯეთის შემზარავ ცხრაკლიტულში გამომწყვდეულმა ქალმა განმაცვიფრებელი სულიერი მხნეობა და გონებრივი სიფხიზლე გამოიჩინა, დაიმორჩილა საკუთარი ვნებები და გრძნობები. სატრფოს კი მიჯნურული მამაცობის დაძლევა და უმწეოდ დარჩენილი სამშობლოს დასახმარებლად გაშურება მოსთხოვა. ნესტანი ქაჯეთიდან სწერდა თავის სათაყვანებელ მიჯნურს (1307,1-2):

წადი, ინდოეთს მიჰმართე,
არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა,
ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა.

ვეფხისტყაოსნით ასახული სიყვარული უაღრესად ადამიანურია, ბუნებრივი, ამაღლებული, მაგრამ მიწიერი, სქესობრივი (როგორც იტყოდა ფრიდრიხ ენგელსი). ამ სიყვარულს საერთო არაფერი აქვს არც აღმოსავლურ სუფისტურ მისტიკასა და ეროტიკასთან, არც დასავლურ უსაგნო რაინდულ ტრფიალებასთან ან ეგრეთ წოდებულ პლატონურ სულიერ გატაცებასთან. შემთხვევით კი არ გაემიჯნა რუსთველი საზეო-საღმრთო მიჯნურობას და მტკიცედ აღიარა: „ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცსა ჰხვდებიან“.

რუსთველური სიყვარული საფუძვლად ედება **მეუღლეობას.** დიდი პოეტი თანმიმდევრულად ავითარებს ურთიერთ სიყვარულზე დამყარებული, თავისუფალი, ძალდაუტანებელი მეუღლეობის იდეას. პოემაში აღწერილი ადამიანური ტრაგედიის ამბავი გამოიწვია ძალდატანებითი მეუღლეობის განხორციელებისათვის გადადგმულმა საბედისწერო ნაბიჯმა.

ფარსადან მეფე და დედოფალი ბრმანი უნდა ყოფილიყვნენ, რომ არ დაენახათ და არ ეგრძნოთ ნესტანისა და ტარიელის ურთიერთისადმი მძლავრი სატრფიალო მიზიდულობა. მათ კი ნესტანის საქმროდ ხვარაზმშაჰის ძის ზედსიძედ მოყვანა გადაეწყვიტათ და დასტურისათვის საგანგებო სახელმწიფო თათბირი მოიწვიეს. თათბირზე ტარიელიც მიიპატიჟეს. ტარიელის მდგომარეობა აღემატებოდა ყოველგვარ სასჯელს. აღმზრდელისა და პატრონისადმი ერთგულების, მორიდებისა და მორჩილების რაინდული შეგნება მას უკარნახებდა თავშეკავების საჭიროებას. აუტანელი იყო „დამწვარი“, „დანაცრებული“ რაინდის ტანჯვა. ფარსადანმა არ დაინდო არც შვილობილი და არც ღვიძლი შვილი, ანგარიში არ გაუწია ქალ-ვაჟის უმწიკვლო გრძნობებს. მას თითქოს მაღალი სახელმწიფოებრივი ინტერესები ამოქმედებდა. ფარსადანმა თათბირს მოახსენა (509):

აწ ქალისა ჩვენისათვის
ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი
სახედ ჩვენად გამოვსახოთ,
სამეფოსა ვაპატრონოთ,
სახელმწიფო შევანახოთ,
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა
ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ.

მეფე ფარსადანი ძველ, დრომოჭმულ თვალსაზრისზე იდგა. ამ თვალსაზრისით ქალს არ ეკითხებოდა საკუთარი ბედ-იღბლის საქმე. შუა საუკუნეებში ყველგან, მათ შორის საქართველოშიც, ქალისათვის საქმროს არჩევა მშობლების პრეროგატივს შეადგენდა. ნესტანის გათხოვების საკითხს ფარსადანი ხელსაყრელი პოლიტიკური გარიგებისათვის იყენებდა. მისი ფიქრით, ნესტანის გათხოვება აძენინებდა ძლიერ მოკავშირეს და სჭარველს, ტახტის ფაქტობრივ მემკვიდრეს და ქვეყნის მომავალ სუვერენ მეუფეს. ამ შემთხვევაში რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ყმაწვილ-ქალისა თუ მისი მიჯნურის გულისთქმასა და გრძნობითს მიდრეკილებებს!

რუსთველი არ იზიარებს შუასაუკუნეობრივ თვალსაზრისს ქალის გათხოვების საკითხში. ქართველმა პოეტმა დაგმო და ამხილა ამ თვალსაზრისის მანკიერება. თავისი პოემით რუსთველი ისეთ შეხედულებას იცავს, რაც იმდროინდელობისათვის „გაუგონარ ამბავს“ წარმოადგენდა, ანდა მხოლოდ ოცნებაში, რომანტიკაში არსებობდა. რუსთველი ასაბუთებს თავისუფალი, ძალდაუტანებელი, სიყვარულზე დამყარებული, ნებაყოფლობითი მეუღლეობის საზოგადოებრივ სიკეთესა და გონივრულობას. ამიტომაც იყო, რომ მისი გმირი ქალი აღაშფოთა მშობლების უსულგულობამ. სათნო ბუნების ნესტანმა არ დაუშვა თავისი ადამიანური ღირსების შელახვა და დამცირება. მან განმაცვიფრებელი გამბედაობა და თაოსნობა გამოიჩინა. იგი არა თუ დაემორჩილა მშობლების გადაწყვეტილებას, საქვეყნო ამბოხსაც არ მოერიდა. მოთაყვანე მოყმეს ურჩია უცხოელი მოქიშპის დაუყოვნებლივი მოსპობა და, საჭირო შემთხვევაში, ძალაუფლების ხელში აღება („მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძე-სძლობასაო“, აგულიანებდა ნესტანი სატრფოს). რა თქმა უნდა, ეს არ იქნებოდა ხელისუფლების უზურპაცია. საქმე ისაა, რომ ერთ დროს ფარსადანმა იშვილა ტარიელი, ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა და სამეფოდ აღზრდა დაუწყო. როდესაც ნესტანი წამოიზარდა, მამამ თითქო მისი გამეფება განიგულა, ტარიელი კი მშობლებს დაუბრუნა. ამრიგად, ინდოეთის ტახტი კანონით ან ნესტანს ეკუთვნოდა (როგორც მეფის ღვიძლ შვილს), ან ტარიელს (როგორც მეფის ჩამომავალს და სამეფოდ აღზრდილ შვილობილს). ფარსადანმა მეფური სიტყვა გატეხა, ნესტანი არ გაამეფა, ტარიელს კი ჩამოართვა მემკვიდრის უფლებები. ინდოეთის ტახტს ახლა გადამთიელი ხვარაზმშაჰის შვილს სთავაზობდა. მეფემშობელი დიახაც რომ უსულგულოდ, უსამართლოდ და უკანონოდ ირჯებოდა. მამის უკეთურმა საქციელმა საშინელი ურჩობა ჩაადენინა საერთოდ მშვიდს, უწყინარს, ჩუმს, მორჩილს, უდრტვინველსა და მშობლების მოყვარულ ასულს.

ანალოგიურ შემთხვევაში სხვაგვარად მოიქცა მეფე როსტევანი. არც მას ჰყავდა მემკვიდრე ვაჟიშვილი; მაგრამ ადრევე ტახტზე აიყვანა და გაამეფა მისი ერთადერთი ასული თინათინი. ვაზირებმა მოიწონეს მეფის არჩევანი და დასძინეს:

თუმცა ქალია, ხელმწიფედ
მართ ღმრთისა დანაბადია,
არ გათნევთ, იცის მეფობა,
უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ აქმეცა
მისი მზებრ განაცხადია.
ღეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს, თუნდა ხვადია.

არაბეთში სამეფო ტახტზე ავიდა და გახელმწიფდა ქალი (მეფის ასული). შემდეგ, როდესაც როსტევანმა თინათინისა და ავთანდილის სიყვარულის ამბავი გაიგო, გაიხარა და დალოცა ქალ-ვაჟის შეუღლება. ოღონდ მოხუცმა მეფემ იმთავითვე მტკიცედ განსაზღვრა საქმის ფაქტობრივი და უფლებრივი მხარეები. მან განაცხადა (1526,1-2):

მე სიძესა ავთანდილს
უკეთესსა ვჰპოვებ ვერა,
თვით მეფობა ქალსა ჩემსა
მივეც, აქვს და მას ეფერა.

მაშასადამე, გათხოვების შემდეგაც თინათინი რჩებოდა ტახტის კანონიერ მპყრობელად, ქვეყნის უზენაეს მბრძანებლად და გვარის გამგრძელებლად. მოსიყვარულე მეუღლე მეფე-ქალს ეყოლებოდა თავის შემწე-მოსაყდრედ, საიმედო მრჩეველ-მოამაგედ და ერთგვარად თანამეფედ. როსტევანმა შეჰყარა დიდებულები, წარუდგინა თავისი სიძე და შეკრებილთ აუწყა (1546,2-4):

ესეაო მეფე თქვენი,
ასრე იქმნა ღმრთისა ნება,
დღეს ამას აქვს ტახტი ჩემი,
მე — სიბერე, ვითა სნება,
ჩემად სწორად ჰმსახურებდით,
დაიჯირეთ ჩემი მცნება.

გასაშიფრავია საანალიზო ეპიზოდების ქვეტექსტი და დასადგენია მისი პოლიტიკური შინაარსი: უეჭველზე უეჭველია, რომ ამ ეპიზოდებში თავისებურად არეკლა მე-12 საუკუნის საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის რეალური ვითარებანი.

როგორც ცნობილია, დინას-



ტიური კრიზისი შეექმნა გაერთიანებული საქართველოს მეფე გიორგი მესამეს (1156—1184). მას არ ჰყავდა მემკვიდრე ვაჟი. გიორგიმ გამოსავალი გამოძებნა: ტახტზე აიყვანა და მოსაყდრედ დაისვა თავისი ასული თამარი. ამან შეაშფოთა და ფეოდალურ-დინასტიური ბრძოლის გუნებაზე დააყენა მთელი კონსერვატიულ-რეაქციული საქართველო. მეტისმეტად გართულდა სრულიად ახალგაზრდა მეფე-ქალის მდგომარეობა მამის გარდაცვალების შემდეგ. გახშირდა შეთქმულება და აჯანყება მის წინააღმდეგ. თავდაპირველად თამარს თავზე მოახვიეს უცხოელი უღირსი კაცის მეუღლეობა. როცა თამარმა მოიშორა ეს უღირსი ქმარი, რეაქციულმა ფეოდალურმა წრეებმა მეფის ქმარ-ყოფილი ვითომ მეთაურად გაიხადეს, იმის დროშის ქვეშ დაირაზმნენ და ქვეყანა უკიდურესი ხიფათის წინაშე დააყენეს. ამ ხიფათისაგან საქართველო იხსნა ქვეყნის მოწინავე ძალების თავგამოდებამ და თვითონ თამარის პირადმა პოლიტიკურმა გამჭრიახობამ.

ქალის გამეფების პრობლემა მაშინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ნამდვილი ქვაკუთხედია. გიორგი მესამის გაბედული ნაბიჯის შემდეგ „ბრძოლა არ ჩამქრალა“ (ი. ჯავახიშვილი), მან ძალიან სხვა გარეგნული ფორმა მიიღო.

შოთა რუსთველი მხატვრული ენით გადაჭრით იცავს ქალის გამეფების კანონზომიერებისა და გონივრულობის იდეას. სავსებით სწორად შენიშნავს ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი: „საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური ვითარებისა და კერძოთ თამარის პირადი თავგადასავლის ანარეკლი შოთას თხზულებაში საკმაოდ მკაფიოდ მოჩანს“. ქალის გახელმწიფების შესაძლებლობას შოთა რუსთველმა გამოუძებნა შესანიშნავი პოეტური ფორმულა — „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. ამ აფორიზმით რუსთველი ასაბუთებს „ქალ-უფლისწულის მამაკაც-უფლისწულთან თანასწორუფლების“ თვალსაზრისს. საგულისხმოა, რომ რუსთველის დიდებული აფორიზმის კავშირი თამარის გამეფების საკითხთან ადრეც ჰქონიათ შენიშნული. მე-17 საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანისძე პირდაპირ ამბობს: „მეფემ გიორგიმ თავისი ასული თამარი მეფედ აკურთხა, აქ თქმულა „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხვადია“.

რუსთველი ოდნავაც არ დაკმაყოფილებულა ბრძნული აფორიზმის მოხმობით და თინათინის გამეფების აღწერით: პოეტმა შექმნა სამაგალითო მორალური და ინტელექტუალური ქალი-უფლისწულის — ნესტანის — უკვდავი სახე. თუ თინათინის გამეფება მოხდა უმტკივნეულოდ, ფარსადანმა არ მოისურვა თავისი ქალის გახელმწიფება და ტახტის დასაუფლებლად გადამთიელი კაცის მოყვანას აპირებდა. ამან შეაპირობა ვეფხისტყაოსნის სახელოვან გმირთა ტრაგედია. რუსთველმა წინდახედულად **შეუპირისპირა** ერთი-მეორეს არაბეთისა და ინდოეთის ამბები. მეტიც, პოეტმა ერთიმეორეს **დაუპირისპირა** როსტევანი და ფარსადანი: იგი მთელი არსებით როსტევანის მხარეზეა, მკითხველს პოეტურად უმტკიცებს როსტევანის ნაბიჯის გონივრულობას, გუნდრუკს უკმევს როსტევანის სიბრძნესა და ადამიანურ კეთილშობილებას. ასე ახასიათებინებს ავთანდილს თავის მწყალობელ პატრონსა და მომავალ სიმამრს (857,1-2):

პატრონი ჩემი გამზრდელი,
ღმრთისაგან დიდად ცხოველი,
მშობლური, ტკბილი, მოწყალე,
ცა წყალობისა მთოველი.

ფარსადანმა ვერც მეფური ჭკუა გამოიჩინა მემკვიდრეობის საკითხში, ვერც ადამიანური სულდიდობა და ვერც მშობლიური გულკეთილობა. თავისი ზნეობრივი, გონებრივი და სულიერი თვისებებით ნესტანს სავსებით შეეფერებოდა პატივი. ფარსადანმა არათუ გაამეფა თავისი ყოვლად ღირსეული ასული, არამედ მის გრძნობებზე ძალდატანებასაც არ მოერიდა. რუსთაველი ბუმბერაზული პოეტური ხმით ილაშქრებს ქალის გრძნობებზე ძალდატანების წინააღმდეგ. რუსთველი მოითხოვს ქალის საზოგადოებრივად და მორალურად ემანსიპაციას, გარკვეულ პირობებში პოლიტიკურ სარბიელზედაც კი მამაკაცთან უფლებრივად გათანასწორებას.

შოთა რუსთველი ქალს თვლის **სრულყოფილ ადამიანად.** ამით ქართველმა პოეტმა დაარღვია მუსლიმანურ აღმოსავლეთში, კერძოდ აღმოსავლურ პოეზიაში გაბატონებული შეხედულება ქალის უსრულობასა და მორალურ-ინტელექტუალურ შეზღუდულობაზე.

ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი ქალები — ნესტანი და თინათინი—ყოველმხრივ სრულყოფილი არსებანი არიან: ისინი იმორჩილებენ წადილს, გრძნობებს არ თიშავენ გონებისაგან, საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ და საქვეყნო ინტერესებს პირადულზე მაღლა აყენებენ... საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ რუსთველმა დაგვიხატა ზნეობრივად და გონებრივად სრულყოფილი ქალი პერსონაჟები არა მარტო საზოგადოების მაღალი წრიდან, არამედ მან შექმნა მდაბიოთა სოციალური წრიდან გამოსული ასმათის უზომოდ ძიმზიდველი, მორალურად სპეტაკი სახე. შოთა რუსთველი თავისი პოემით ცხადყოფს, რომ **ქალი მამაკაცის მსგავსად კაცია, ადამიანი, დედაკაცი.** ამ დებულებას ვეფხისტყაოსანში უნივერსალური მნიშვნელობა ენიჭება. შუა საუკუნეებში ასე ამაღლებულად არავის უმღერია ქალის ღირსებაზე. შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ არ იცის ნესტანის მსგავსი თაოსანი, ენერგიული, გონიერი, მოყვარული და ზნეფაქიზი ქალის მხატვრული სახე. ნესტანი კი შეფარვით გამოხატული თვითონ თამარია (თამარისადმი მიძღვნილ ქებაში პოეტი ამბობს: „მისი სახელი ქვემორე შეფარვით მითქვამს, მიქია“). ასე უპასუხა შოთა რუსთველმა მე-12 საუკუნის საქართველოსთვის მღელვარე კითხვას. ასე ბუნებრივად და გამჭვირვალედ აისახა ვეფხისტყაოსანში საქართველოს ისტორიული სინამდვილის სურათი.

ვერც იმას დავივიწყებთ, რომ ქალის პატივისცემას დიდი ტრადიცია მოსდგამს ჩვენს ქვეყანაში. ქართული ხალხური სიტყვიერება ყოველთვის აიდეალებდა ზნეფაქიზ, ოჯახსა და საშობლოს მოყვარულ ქალს. ხოლო ქართულმა მწერლობამ ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში შეამკო რწმენაურყევი, პრინციპული, ქედმოუხრელი, მებრძოლი ქალი — შუშანიკ დედოფალი. შუშანიკს უსამართლობად მიაჩნდა ქალის დამამცირებელი მდგომარეობა ოჯახსა და საზოგადოებაში. იგი ოცნებობდა იმ სამყაროზე, სადაც არ იქნებოდა უფლებრივი სხვაობა ქალსა და კაცს შორის. გასაკვირი არაფერია, რომ ასეთი სამყარო შუშანიკს მაშინ საიმქვეყნოდ ესახებოდა. მე-9 საუკუნის უცნობმა ქართველმა მწერალმა **ძუ ლომს** მიამსგავსა ნინო განმანათლებელი. გიორგი მერჩულემ (მე-10 ს.) დაგვიტოვა გრძნობიერ. თაოსან, დამოუკიდებელი ხასიათისა და ძლიერი ნებისყოფის მქონე ქალ-პერსონაჟთა მთელი გალერეა. ქალები აქტიურად მოღვაწეობდნენ ძველ საქართველოში სამოქალაქო და პოლიტიკურ სარბიელზე. ცნობილია, მაგალითად, თამარის თანამედროვე მანდილოსნების, ხვაშაქი ცოქალისა და კრავაი ჯაყელის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი როლი.

ქალის პატივისცემის ამ ეროვნულ ტრადიციასაც ემყარება შოთა რუსთველი.

**ალ. ბარამიძე.**



თინათინი და ავთანდილი



ნესტან-დარეჯანი და ტარიელი.
მხატვარი ი. თოიძე.

ჩვენი სტუმარი

# ინდოელი მეცნიერი თბილისში

**თბილისში** რამდენიმე დღეს იყო ინდოელი მეცნიერი, ჰაიდარაბადის ოსმანის უნივერსიტეტის არაბული განყოფილების გამგე პროფესორი **აბდულ მუიდ ხანი.** იგი გაეცნო აღმოსავლურ ფონდს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ და სპარსულ მანუსკრიპტებს. მეცნიერი დაინტერესდა ძველი იშვიათი ხელნაწერებით, რომლებიც ინსტიტუტში ინახება. კერძოდ, არაბული ენის განმარტებითი ლექსიკონის ნაწილითა და „ქითაბულ არაისით“ (პატარძალთა წიგნით), რომელიც XIII საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება.

აბდულ მუიდ ხანი გაეცნო აგრეთვე ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომებს. მისი ყურადღება მიიპყრო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის რ. გვარამიას შრომამ „ალ-ბუსთანმა“ — არაბულ ენაზე გამოცემულ შუასაუკუნეების ქრისტიანული ნოველების კრებულმა.

პროფესორ აბდულ მუიდ ხანის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ინდოეთისა და საქართველოს უძველესმა ურთიერთობამ, ქართულ ლიტერატურასა და ისტორიაში არსებულმა ცნობებმა ინდოეთის შესახებ, კერძოდ იმან, რომ ქართველი მოგზაური რაფაელ დანიბეგაშვილი მეფე ერეკლე მეორის დავალებით XVIII საუკუნეში ჩასულა ინდოეთში და აღუწერია ეს მოგზაურობა.

# მაღაროს განძი

## ქართველ პალეონტოლოგთა აღმოჩენა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა თბილისიდან ას კილომეტრზე აღმოაჩინეს თავისებური განძი. ექსპედიციამ გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. კ. ვეკუას ხელმძღვანელობით სოფელ მაღაროს მახლობლად ქვაბებში აღმოაჩინა უნიკალური ნამარხი — ფაუნის მდიდარი კოლექცია. იგი შედგება ძუძუმწოვართა წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ სამხრეთ აფრიკის სავანებში, მაგრამ დიდი ხანია გადაშენებულან ევროპასა და აზიაში. ეს ცხოველები კავკასიაში ცხოვრობდნენ 5-6 მილიონი წლის წინათ, დედამიწის ისტორიის მესამეული პერიოდის დამლევს.

ძუძუმწოვართა ზოგიერთ ეგზემპლარს აქამდე არ იცნობდა მეცნიერება. მათ, კერძოდ, ეკუთვნის მსხვილფეხა მცოხნავი ცხოველები, რომლებიც აფრიკული ცხენისებრ ანტილოპებს მოგვაგონებენ, მაგრამ სრულიად არ აქვთ რქები. საინტერესო აღმოჩენებია ხრახნრქიანი ანტილოპის ახალი ეგზემპლარი — თანამედროვე კაფრული კამეჩის შორეული ნათესავი და გიგანტური დამანი. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ უკანასკნელს ჰქონდა პატარა ხორთუმი. ეს ცხოველი 30-ჯერ დიდი თავის ახლანდელ აფრიკელ თანამოძმეებზე, თუ ეს უკანასკნელნი სიდიდით არ აღემატებიან წვავებს, ნამარხი ცხოველები, რომლებსაც მეცნიერებმა „ქვაბები გრაჭი“ უწოდეს — სიდიდით ცხენის ოდენაა. გათხრებში შემონახულა აგრეთვე გვიანბიზანის სამთითა ცხენის (ჰიპარიონის), მარტორქის, მასტოდონტის, ხმლისებრ კბილიანი კატის ნაშთი.

როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს გაუნუცხადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ - კორესპონდენტმა ლ. კ. გაბუნიამ, ამ ფაუნას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. ეს აღმოჩენა შეიძლება მიეკუთვნოს უკანასკნელი ათი წლის თვალსაჩინო პალეონტოლოგიურ აღმოჩენათა რიცხვს. ქართველ მეცნიერთა „განძი“ მესამეული პერიოდის ძუძუმწოვართა ბევრი სხვა ნამარხისაგან იმით გამოირჩევა, რომ ზუსტადაა დათარიღებული და ყველაზე სრულად წარმოადგენს შესაბამისი გეოლოგიური ეპოქის ფაუნას.

ქვაბების ფაუნამ შეავსო მეცნიერთა ცოდნა. თანამედროვე აფრიკის სავანების ბინადართა უშუალო წინაპრების შესახებ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ფაუნა წარმოიშვა იმ ძუძუმწოვრებისაგან, რომლებიც 10-12 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ (გვიანი მიოცენი) მაგრამ დროის უზარმაზარ შუალედში იმ ეპოქასა და თანამედროვე ეპოქას შორის ამ ფაუნის შესახებ არავითარი ცნობები არ იყო. უძველესი ძუძუმწოვრები, რომლებიც ახლა აღმოჩენილია საქართველოში, უშუალოდ აკავშირებენ ჰიპერიონისა და თანამედროვე აფრიკის ფაუნას.

პალეონტოლოგებმა გათხრების შესწავლის საფუძველზე დაადგინეს უძველეს ცხოველთა ისტორიული დასახლების გზები, გეოლოგიურ წარსულში ძუძუმწოვართა გაცვლა სამ კონტინენტს შორის, უმთავრესად ხდებოდა სუეცის ყელის საშუალებით და შესაძლებელია — ტუნისის ყურის რაიონში. ამრიგად ხდებოდა აგრეთვე აფრიკის ფაუნის (მასტოდონტის, მარტორქისა და დამანის) გავრცელება. უძველესი აზიისა და ევროპის მკვიდრთა აფრიკაში შეჭრა ხორციელდებოდა, კერძოდ ქვაბების ფაუნის ეპოქაში 5-6 მილიონი წლის წინათ, ანუ მრავალი მილიონი წლით უფრო გვიან, ვიდრე წინათ მიაჩნდათ. ამ ფაუნის წარმომადგენლებმა შეადგინეს აფრიკის თანამედროვე ცხოველთა სამყაროს ბირთვი.

# ქართული ვარდის ზეთი

**ლაგოდეხის** ეთერზეთოვანთა ქარხანამ წლევანდელი მოსავლისაგან დაამზადა სურნელოვანი ვარდის ზეთის პირველი პარტია.

ყაზანლიყური ვარდის მოსავლმა რესპუბლიკაში მოლოდინს გადააჭარბა. ეთერზეთოვანთა საწარმოების გადასამუშავებლად გადაეცათ 470 ათასი კილოგრამი ნედლეული — ერთიორად მეტი, ვიდრე გასულ სეზონში.

საქართველოში კულტივირებულია ეთერზეთოვანთა რვა სახეობა. ორი-სამი კვირის შემდეგ გადამუშავებული საწარმოები მიიღებენ გერანის მწვანე მასას, შემდეგ რეჰანს, პაჩულის და სხვ.

წელს 10 ეთერზეთოვანთა ქარხანა გამოუშვებს 12 მილიონი მანეთის ძვირფას ზეთებს, ეს 4 მილიონით მეტია, ვიდრე შარშან.

# დედაქალაქი

(დასასრული).

ლისის ასეთი ხმაურიც საყვარელია. შემიძლია საათობით ვიდგე ამ ადგილას და სიცხის მიუხედავად გავცქერიდე მას, თვალს ვაყოლებდე ქუჩებს, ვითვლიდე კულტურის ძეგლებს, ვუცქერდე უნივერსიტეტს — გუმბათიან ტაძარს, — სპორტის სასახლეს, სოლოლაკის თუნუქისახურავებიან მოჯრით მიწყობილ სახლებს, რომელთა წყობა ენით უთქმელი მშვენებაა.

ჰორიზონტი თვალებს ჭრის.

მტკვრის ნაპირას თბილისური ცათამბჯენი ამომართულა. ეს ახალი მშენებარე სასტუმროს შენობაა. ნახევარი წელიც არ გასულა, რაც საძირკველი ჩაუყარეს მას, და რა მალე წამოიმართა! ზემოდან რომ დასცქერი, გეჩვენება, თითქოს ნისლიან ზღვაში შუქურა დგას და ქანაობს.

საღამოთი, როგორც კი მზის სხივები მთაწმინდას ამოეფარება, როცა თბილისში სიო დაბერავს და რუსთაველის გამზირის ფესვმაგარ ჭადრებს ააშრიალებს, მაშინ გოლითაშვით იღვიძებს ქალაქი. მდინარესავით მოვარდება რუსთაველის გამზირი; მოდიან ულამაზესი ქალები და ვაჟკაცები, თვალებბრიალა გოგონები და ბიჭები.

აქ ყოველ ნაბიჯზე ნაცნობებს შეხვდები. ყველა მათგანთან შეჩერდები. ნელა მიჰყვები რუსთაველის მდინარებას. ერთი სიტყვით, შენ უკვე თბილისის გულში ხარ და მასში აფათურებ ხელებს, გრძნობ მას, ხარბად უგდებ ყურს ქართულ ლაპარაკს და გიხდა ყველაფერი ერთიანად ჩაიჭედო მეხსიერებაში.

თბილისისთანა საღამოს ვერსად ვერ შეხვდები.

სად ნახავ ამდენ ნაცნობ სახეს! აქ ხომ ყველა გიცნობს, ქალაქში როდი იკარგები. სივრცის ახლო განცდასთან ერთად ადამიანებთან საოცარ სიახლოვეს განიცდი. გგონია, ყველა მათგანი მეზობელი და მეგობარია.

ჰოდა, განა შეიძლება არ გიყვარდეს ის, რაც მთლიანად შენია? განა შეიძლება არ გიყვარდეს თბილისი? მას აქვს მაღლი მიწისა და ცისა (მე განგებ არ ვუპირისპირებ ერთმანეთს ამ ორ სამყაროს: ჰაერისა და მიწის სამყაროს), რომელიც გაიძულებს ეთაყვანო. მას ჰყავს შესანიშნავი მკვიდრნი. უომათოდ თბილისი ალბათ ცარიელი სამყარო იქნებოდა.

თბილისის სიცოცხლე, სულიერი კულტურა ადამიანებზეა დამოკიდებული. საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ ისინი თავიანთი სიცოცხლეც არ დაეზოგათ მისი ბედნიერებისათვის. ამიტომ მისი სულიერი კულტურა ცალკეული ადამიანებით არ განისაზღვრება. იგი შექმნეს ათასებმა, შემდეგ კი თვითონ გახდნენ მისი განუყოფელი ნაწილი. თბილისი და მისი მკვიდრნი ქმნიან ერთ მთლიან კანონზომიერ ორგანიზმს. უერთმანეთოდ მათი წარმოდგენა შეუძლებელია. მათ საუკუნეების მანძილზე გამარჯვებები აკავშირებდათ ერთმანეთთან. გამარჯვება ხომ აძრობილებს ადამიანებს, ყველა მათგანს იმის უცილობელ სიყვარულს ურიგებს ბუნება, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ. ისინი განუყოფელნი არიან, ისე როგორც განუყოფელი ვარ მეც ჩემი მეგობრებისაგან. არასოდეს არ ვუღალატებ მათ, არასოდეს არ ვუმტყუნებ უცხოთა წინაშე...

საოცარია, როცა თბილისში ხარ, როცა მისი მჩქეფარე ცხოვრების ფერხულში ჩაბმული ეშვები ადამიანთა ცხოვრების სიმატკბილობას, ნაკლებად ფიქრობ თბილისზე, რადგან შენ ის გულში გიზის და თვითონ კი მის გულში ზიხარ. მაგრამ, როგორც კი დატოვებ მის პაპანაქება სიცხესა თუ ზამთრის სიცივეს, მკერდში რაღაც ჩაგწყდება, თითქოს მისი ნაწილი გრჩება აქ, ბებერი მთაწმინდის, დიდუბის, ორთაჭალის თუ საბურთალოს უბნებში. უნებურად იწყებ ფიქრს რუსთაველის გამზირზე, მთელ თბილისზე და არა საკუთარ სახლზე, როგორც ეს ხშირად ემართებათ სოფლის მკვიდრთ. უსოფლოდ დარჩენილ გლეხს, რა თქმა უნდა, ენატრება თავისი სოფელი, მიწის სურნელი, გელმინდრების თავისუფლება; ასეთნაირი რამ ემართება ყველა მოკვდავს, მაგრამ იგი განსაკუთრებულ ლტოლვას განიცდის საკუთარი შვილებისადმი, ცოლისადმი, ნატრობს მიუალერსოს საკუთარი სახლის კედლებს. თბილელიც განიცდის ყველა ამ გრძნობას, მაგრამ მისთვის ჰაერივით საჭირო ხდება მთელი თბილისი! ის რომ პირდაპირ თავის ბინაში ჩაფრინო, ვერ მოიკლავს აფორიაქებულ წყურვილს. მაგრამ როცა გაივლის მის ქუჩებში, მთაწმინდაზე ავა და გადმოიხედავს, თვალები დაუსველდება. თბილისის სიყვარული ყველა სიყვარულზე ძლიერია! ამიტომაც შენდება და მშენდება იგი. სიყვარულს და ძმობას ხომ სიკუნეთა მანძილზე უშენებია ის, რაც მტრობასა და სიძულვილს დაუნგრევია!

ბედნიერი ვართ, რომ ვცხოვრობთ თბილისში, რომ ვიცით ჩვენი როლი ცხოვრებაში, ვიცით საკუთარი მიზანი, რაც აზრს აძლევს სიცოცხლეს და სიკვდილსაც. ვსუნთქავთ თავისუფლად, რადგან ჩვენ ძმობას საფუძვლად უდევს საერთო მიზანი: გამოცდილება ამბობს, რომ სიყვარული ნიშნავს არა ერთმანეთის ყურებას, არამედ ერთი მიმართულებით, ერთნაირი თვალებით ყურებას. ყველა თბილისელიც ხომ ერთი მიზნისაკენ იყურება. ამიტომაც აქვთ საერთო სიყვარული თბილისისა, რომელიც ყველა სიყვარულზე ძლიერია!

ახლა თბილისში ცხელა.

მთაწმინდაზე ნავი ქრის, მაგრამ ძლიერი სიცხეები ესტუმრა დედაქალაქს. ახლა კარგია დროებით დატოვო იგი და მთებს ესტუმრო; კარგია წახვიდე თუნდაც რაჭაში. მოინახულო შოვი და შენს ფიქრებს ცოტაოდენი დასვენება მისცე. მაგრამ განა დაისვენებ ფიქრებს საქართველოში?! მარტო ბუნების სიმშვენიერისაგან გამოწვეული აღტაცების შეძახილები დაგღლის!

სიცხე ყოველ ზაფხულს არის თბილისში, და ათასობით თბილისელიც დროებით მიდის აგარაკებზე. მრავალ მათგანს თბილისის შემოგარენი შესწინძლობს: წყნეთი, კოჯორი, კაკეთი, მანგლისი. მრავალი მათგანი მთებში ან შავ ზღვაზე მიდის. არაფერს ვამბობ თბილისის ზღვაზე, რომელიც ლა-

# სიცოცხლის სახელით

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის თერაპიის ინსტიტუტის გაერთიანებულმა პირველმა სამეცნიერო სესიამ, რომელიც ოთხ დღეს გრძელდებოდა.

სესიის მონაწილეებმა განიხილეს ათეროსკლეროზისა და კორონარული უკმარისობის პრობლემები, მათი პროფილაქტიკისა და მკურნალობის გზები. სესიაზე ამ საკითხებს 60 მოხსენება მიეძღვნა.

პროფესორმა ნ. ყიფშიძემ სესიას მოახსენა იმ ექსპედიციების შედეგების შესახებ, რომლებიც თერაპიის ინსტიტუტმა მოაწყო საქართველოს კლიმატის, ადგილობრივი მოსახლეობის კვების, პროფესიის და ყოფაცხოვრების განსხვავებული პირობების მქონე რაიონებში გულ-სისხლძარღვთა დაავადების გავრცელების შესასწავლად. მონაცემების დამუშავებამ, რომლებიც ამ ექსპედიციების მონაწილეებმა მიიღეს, არ დაადასტურა გაბატონებული აზრი, რომ ათეროსკლეროზი უფრო ხშირად გავრცელებულია იმ ადამიანებს შორის, რომლებიც დიდძალ ცხოველურ ცხიმს ხმარობენ, მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადების გავრცელებაზე უწინარეს ყოვლისა გავლენას ახდენს მუშაობის ხასიათი, კლიმატური ფაქტორები, ფიზიკური აქტივობა და უფრო ნაკლებად — კვების ფაქტორები. მაგალითად, მთის რაიონებში, სადაც მოსახლეობა ძირითადად ხორცით იკვებება, რომელიც ცხიმებითაა მდიდარი, ათეროსკლეროზი იმაზე მეტად როდია გავრცელებული, ვიდრე რესპუბლიკის სხვა რაიონებში, სადაც მცენარეული საკვები ჭარბობს.

ჭართველ მეცნიერთა ეს დასკვნა თავის მოხსენებაში დაადასტურა სამედიცინო სამსახურის გენერალ-მაიორმა, პროფესორმა ზ. ვოლინსკიმ (ლენინგრადი). მან აღნიშნა, რომ მოჭარბებული კვება არ არის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ათეროსკლეროზით დაავადებას. როგორც მეცნიერს მიაჩნია, ეს დაავადება შეიძლება ინტენსიურად განვითარდეს მეტად შეზღუდული კვების დროსაც. მიღებულია საინტერესო მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ, რომ დღეგრძელ ხალხს არ შეემჩნევა აქტიური ათეროსკლეროზული პროცესი და კორონარული დაავადება. ეს საშუალებას გვაძლევს ათეროსკლეროზი არ მივიჩნიოთ სიბერის თანამგზავრად.

პროფესორმა ე. ჩაზოვმა, გ. გვიმიანმა, ი. ჭუმბურიძემ, ი. ჯავახიშვილმა და სხვებმა ექსპერიმენტულ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების საწინააღმდეგო ახალი პრეპარატების შესახებ, გერიატრიულ ასპექტში კორონარული ათეროსკლეროზის შესწავლის, გულისა და სისხლძარღვების დაავადების დროს სისხლის შედედების სისტემის შეცვლის, ღვიძლისა და ათეროსკლეროზის ურთიერთკავშირის საკითხებზე, ათეროსკლეროზისა და მიოკარდის ინფარქტის დიაგნოსტიკის ახალ მეთოდებზე.

## ეს საინტერესოა

# მზე და ზღვა... ჭერქვეშ


**ზღვა** და მზე მოთავსდება ჭერქვეშ, შეიქმნება მუდმივი ჰავა. ფანტასტიკური ხომ არ არის ეს იდეა? აღმოჩნდა, რომ არა. მომავალი წლიდან განხორციელდება გაგრის სეზონური კურორტიდან მთელი წლის კურორტად გადაქცევის პროექტი. სხვათაშორის ეს არის პასუხი იმ მრავალ წერილზე, რომლებიც საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტს მოსდის.

მთელი წლის ზღვის კურორტის შექმნის იდეა არქიტექტორ ი. გ. ზაალიშვილს დიდი ხანია სურდა განეხორციელებინა. პროექტზე მუშაობის დროს იგი ეწვია საბერძნეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ლიბანის საუკეთესო კურორტებს, მაგრამ არსად არ შეხვედრია ამგვარ კურორტებს. თბილი ჰავის ქვეყნებშიც კი ხავერდის სეზონი მხოლოდ ნოემბრამდე გრძელდება.

დახურული ზღვის პავილიონი არქიტექტორმა ჰაერში მოლივლივე თოლიების სახით წარადგინა. მსუბუქი, ნატიფი სვეტებიანი შენობა აიგება სანაპირო ზოლში. ზღვისაკენ მიმართული იქნება მთელი ფასადის მინის „შირმა“.

პავილიონში, სადაც დაიჭირხლება ზღვის ჰაერი, ააშენებენ ორ აუზს, რომელშიც გათბება ზღვის წყალი და გარშემორტყმული იქნება ქვიშის „ნაპირით“. სპეციალური ელექტრომოწყობილობა გამოასხივებს ულტრაიისფერ სხივებს. ასეთ პავილიონში მთელი დღის განმავლობაში მზის აბაზანების მიღება და ცურაობა შეეძლება სამი ათას დამსვენებელს.

საგულისხმოა, რომ თოვლით დაფარულ მთებს შორის მოქცეული გაგრა არჩეულია ზამთრის კურორტის მშენებლობის ადგილად. ტურისტები სწრაფი საბაგირო გზების საშუალებით რამდენიმე წუთით ზამთრიდან ზაფხულში მოხვდებიან და პირიქით.





„თბილისის ზღვა“ თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახდა. როცა ქალაქში ცხელა, იქ სასიამოვნო სიგრილეა (სურათზე ზემოთ). ქვემოთ — ახალი საბურთალოს ერთ-ერთი კუთხე.

---

მაზად დასვენების ერთ-ერთ ადგილად გაიხადეს თბილისელებმა. ცხელა, და თბილისელებიც დროებით ტოვებენ საყვარელ ქალაქს.

მაინც ვერ იგრძნობ მოწყენას თბილისში. როცა ქალაქში ამდენი ხეა, სულ მათი ცქერა გინდა და მოწყენისათვის სად გცალია. მაგრამ როცა თერმომეტრის სინდიყი 30 გრადუსს გადაშორდება, როცა ჭადრების ფოთლებს სიყვითლე შეეპარება და თბილისელი მეეზოვეები ასფალტიდან პირველ დამჭკნარ ფოთლებს აკრეფენ, უმჯობესია დროებით დატოვო თბილისი...

თბილისო! მახსოვს შენი მაგნიტური მიზიდულობის ძალა. მახსოვს, როგორ მიხმობდი შენ, როცა დროებით დაგშორდი. მახსოვს, როგორ გამოვეშურე შენკენ, როგორ ველოლიავე შენს ყოველ კუთხეს, ვკოცნე მამა-პაპათა ნატერფალი...

ეს იყო ჭაბუკობისას.

გაგიჟებით მიყვარდა ის ქალი. მეგონა მეტი სიყვარულით არავინ მიყვარდა ამ ქვეყნად. ჩვენი ცხოვრება სიზმარს ჰგავდა, მხოლოდ ზღაპრულ სიზმარს. საღამოობით, როცა დაღლილი სხეული დასვენებას მთხოვდა, ჩვენ მივდიოდით სასეირნოდ, ფიჭვნარი გვაფარებდა თავის ლურჯ და გრილ კალთას, სადაც უფრო მეტად ვგრძნობდით ერთმანეთის მწველ სიახლოვეს.

მეგონა ჩვენ ვერავინ დაგვაშორებდა ერთმანეთს. თურმე როგორ ვცდებოდი... შენ შენი გაიტანე! მაგრამ გვიან მივხვდი. როგორ მაწვალებდი თურმე, როგორ მინდოდა შენი ნახვა... და, ბოლოს, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩემი დაბრუნების ვადა გასული, უეცრად მოვარდა მეორე რაღაც და ჭალზე მეტად, ჯადოქარივით დაეუფლა ჩემს არსებას. მოსვენება დამიკარგა, ძილი გამიფრთხო.

მაშინ მივხვდი—თბილისი მაწვალებდა, მიხმობდა, და მეც სასწრაფოდ გამოვეშურე...

მე არ დავიგვიანე, რადგან დაგვიანებულნი ძნელად ბრუნდებიან! დამხვდა თითქოს ჩვეულებრივი სიყვარული, მაგრამ, ჩემი აზრით, ის ძალზე დიდი და ხმაურიანია. ველოდი და დამხვდა ერთიანობა, რომელიც ადამიანებად გვხდის.

მე ახლა უდიდესი ბედნიერების გრძნობა მივსებს გულს...

მე ველაპარაკები ჩემიანებს. ისინი დაბრუნდნენ თუ მე ვესტუმრე მათ, ვერ გამიგია! ახლა მე ვგავარ იმ დიასახლისს, რომელმაც ყველაფერი იყიდა, რაც სადილისათვის სჭირდებოდა, გაამზადა სადილი და ელოდება ქმარ-შვილის განაჩენს. მეც შევეცადე სადილი გემრიელი მომემზადებინა, რადგან მე მიყვარს ჩემი თანამოძმენი, ისევე როგორც დიასახლისს თავისი ქმარ-შვილი, მესიამოვნება მათთან საუბარი, მით უმეტეს მაშინ, როცა ჯერი თბილისზეა! ვის შეუძლია ჩემს სიყვარულში შეიტანოს მცირედი ეჭვიც. თბილისი ხომ ყველას უხმობს, ყველას ელის. მანაც ხომ იცის დინჯი და მარადიული სიყვარული, და განა შეიძლება არ გიყვარდეს?!..

**რამინ ჭელიძე.**

თბილისი.

14.5/88



„სიმღერა სამშობლოზე“
ასე უწოდა ახალგაზრდა მხატვარმა ა. ფოჩხუამ თავის ახალ ბარელიეფს, რომლის ფოტორეპროდუქციას ამ სურათზე ხედავთ.

## დიღმის კემპინგის მომავალი

საქართველოს სამხედრო გზის მე-14 კილომეტრი... მაგისტრალის მახლობლად გადაჭიმულია დიღმის კემპინგის 70 ლამაზი კეთილმოწყობილი სახლი. აქ ისვენებენ ტურისტები, რომლებიც მოგზაურობენ საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მდებარე მარშრუტებით.

დღისით ტურისტები მიდიან ექსკურსიებზე, ათვალიერებენ მუზეუმებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას, ადიან მთაწმინდაზე, ეცნობიან საქართველოს დედაქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობებს. ტურისტები ავტომობილებით სეირნობენ ქალაქში, ეცნობიან სპექტაკლებს, კონცერტებს, ფილმებს, სპორტულ მიღწევებს.

დიღმის კემპინგი ახლა 210 ტურისტს ემსახურება. მომავალი წლიდან აქ მწყობრში ჩადგება 165 ადგილიანი 55 სახლი, დიდი სამეურნეო კორპუსი, რომელსაც ექნება მექანიკური სამრეცხაო, პირის საბანი, საშხაპე, საწყობები. გაკეთდება სპორტული მოედნები, დაირგვება ხეები და ბუჩქები, დიღმის კემპინგის გაფართოებაზე საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო დახარჯავს 130 ათას მანეთს.

# აბასთუმნის ობსერვატორიაში

აბასთუმანი. აბასთუმნის ობსერვატორიაში თავისებურ „ტელეგადაცემებს“ იღებენ მთვარიდან აბასთუმნელი ასტროფიზიკოსები. მეცნიერებმა მიიღეს დედამიწის ამ ბუნებრივი თანამგზავრის უჩვეულო გამოსახულება. იგი შედგება ნათელი და მუქი ლაქებისაგან, რომელთა სიკაშკაშის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მთვარის ზედაპირის მთა-ქანების ფიზიკურ თვისებებზე. ეს ხდება განსაკუთრებული ხელსაწყოს-პოლარივიზორის საშუალებით, რომელიც ასტრონომებს შესაძლებლობას აძლევს დააკვირდნენ და შეისწავლონ კოსმოსური სხეულების, პლანეტების, მთვარის მთელი ზედაპირი. ეს ხელსაწყო შექმნა ობსერვატორიის ასტრონომიული რადიოელექტრონიკის ლაბორატორიის გამგემ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ლეონიდ ჭანტომალიტიმ.

გამოსახულება გვიხატავს მთვარისაგან არეკვლის შემდეგ პოლარიზებულ სინათლის სხივს. მას შეუძლია შეიცვალოს მნიშვნელობა იმ საგნის თვისებების, ფორმისა და ზომის მიხედვით, რომლისგანაც ირეკლება. ტელესკოპზე სპეციალურ გარდამქმნელში ელექტროსიგნალად გადაქცეული სამყაროდან მოსული სხივი ეკრანზე ასახავს ციური სამყაროს მთელი ხილული ნაწილის სურათს, რომელიც 44 ათასი მოცემიდან წერტილისაგან შედგება. თითოეული მათგანი გარკვეულ ინფორმაციას იძლევა განსაზღვრული მონაკვეთის აგებულების შესახებ. პოლარივიზორი მიღებულ ინფორმაციას წამის მეათასედში ამუშავებს და შედეგებს იძლევა იმ სხვადასხვანაირი სიკაშკაშის სახით, რომელთაგანაც შედგება გამოსახულება. პოლარიზაციის დიდ მნიშვნელობას შეესაბამება დიდი სიკაშკაშე.

თუ ერთი პოლარიმეტრული გამოსახულების მიღებას ყველაზე სრულყოფილი ხელსაწყოების გამოყენებითაც კი მეცნიერის 10 დღის განუწყვეტელი მუშაობა სჭირდება, ქართველ ასტროფიზიკოსთა პოლარივიზორი უზრუნველყოფს ამავე მონაცემების ავტომატურ მიღებას 12 წუთში.

კოსმოსური სხეულების ზედაპირის უფრო სრული კვლევისათვის ხელსაწყო კიდევ უფრო დახვეწეს. ობსერვატორიის მუშაკები მთვარის გამოსახულებას ერთბაშად ექვს ეკრანზე იღებენ. თითოეულ მათგანზე გამოსახულია პოლარიზაციის სურათი, მაგალითად, მთვარისა, კოსმოსიდან მოსული სხივის შესაბამისი გარკვეული პოლარიზაცია. ციური სხეულების ზედაპირის ასეთი დიფერენცირებული გახსნილება შესაძლებლობას იძლევა უფრო დაწვრილებით შევისწავლოთ მათი ზედაპირი. წარმოშობა და ასაკი.

პოლარივიზორმა ასტროფიზიკოსებს ახალი ჰორიზონტი გადაუშალა მთვარისა და პლანეტების შესწავლაში, — უთხრა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში ვიქტორ ჯაფიაშვილმა. ახალი ხელსაწყო დავეხმარება სრულყოთ ჩვენი ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორია დეტალური აგებულება და ასაკი სხვადასხვა წარმონაქმნისა მთვარეზე და მით უმეტეს ისეთ ციურ სხეულებზე, რომლებისთვისაც ჯერ არ მიგვიღწევია. პირველი საცდელი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ, მაგალითად, მთვარის ვულკანების კრატერები, რომლებსაც ჩვენ ვაკვირდებით ტელესკოპით, მთვარის ყველაზე გვიან გეოლოგიურ ხანაში წარმოიქმნა. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ტელესკოპში ხილული კრატერების გამოსახულება არ ემთხვევა ობსერვატორიაში ახალი ხელსაწყოთი მიღებულ პოლარიმეტრულ სურათს.

## სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი

### საბჭოთა ვალუტების კურსის ბიულეტენი

1966 წ. აგვისტო

| ვალუტის დასახელება | კურსი მანეთობით |
|---|---|
| ავსტრალიის დოლარები 1-ში | 1,00 |
| ავსტრიის შილინგები 100-ში | 3,49 |
| ალბანეთის ლეკები 100-ში | 18,00 |
| ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დინარები 100-ში | 18,23 |
| ინგლისის გირვანქა სტერლინგები 1-ში | 2,51 |
| არგენტინის პესოები 100-ში | 0,45 |
| ავღანეთის ავღანები 100-ში | 2,01 |
| ბელგიის ფრანკები 100-ში | 1,81 |
| ბირმის კიატები 100-ში | 18,89 |
| ბულგარეთის ლევები 100-ში | 76,92 |
| უნგრეთის ფორინტები 100-ში | 7,67 |
| ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დონგები 100-ში | 30,60 |
| განის სედები 1-ში | 1,05 |
| გვინეის ფრანკები 1000-ში | 3,65 |
| გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანული საემისიო ბანკის მარკები 100-ში | 40,50 |
| გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მარკები 100-ში | 22,54 |
| ჰოლანდიის გულდენები 100-ში | 24,95 |
| საბერძნეთის დრაქმები 100-ში | 3,01 |
| დანიის კრონები 100-ში | 13,01 |
| ეგვიპტის გირვანქები 1-ში | 2,06 |
| ისრაელის გირვანქები 100-ში | 30,00 |
| ინდოეთის რუპიები 100-ში | 12,00 |
| ინდონეზიის რუპიები (ახალი) 100-ში | 9,00 |
| ერაყის დინარები 1-ში | 2,52 |
| ირანის რიალები 100-ში | 1,19 |
| ისლანდიის კრონები 100-ში | 2,09 |
| იტალიის ლირები 1.000-ში | 1,44 |
| კამბოჯის რიელები 100-ში | 2,57 |
| კანადის დოლარები 1-ში | 0,8375 |
| ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იუანები 100-ში | 45,00 |
| კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ვონები 100-ში | 74,93 |
| კუბის პესოები 1-ში | 0,90 |
| ლიბანის გირვანქები 100-ში | 28,86 |
| ლიბიის გირვანქები 1-ში | 2,51 |
| მალის ფრანკები 1.000-ში | 3,65 |
| მაროკოს დირჰამები 100-ში | 17,78 |
| მექსიკის პესოები 100-ში | 7,22 |
| მონღოლეთის ტუგრიკები 100-ში | 22,50 |
| ნეპალის რუპიები 100-ში | 11,78 |
| ახალი ზელანდიის გირვანქები 1-ში | 2,50 |
| ნორვეგიის კრონები 100-ში | 12,57 |
| პაკისტანის რუპიები 100-ში | 18,89 |
| პოლონეთის ზლოტები 100-ში | 22,50 |
| რუმინეთის ლეები 100-ში | 15,00 |
| სირიის გირვანქები 100-ში | 22,48 |
| სომალის შილინგები 100-ში | 12,60 |
| აშშ დოლარები 1-ში | 0,90 |
| სუდანის გირვანქები 1-ში | 2,59 |
| ტუნისის დინარები 1-ში | 1,71 |
| თურქეთის ლირები 100-ში | 10,00 |
| ურუგვაის პესოები 100-ში | 1,41 |
| ფინეთის მარკები 100-ში | 28,13 |
| საფრანგეთის ფრანკები 100-ში | 18,37 |
| ცეილონის რუპიები 100-ში | 18,92 |
| ჩეხოსლოვაკიის კრონები 100-ში | 12,50 |
| შვეციის კრონები 100-ში | 17,44 |
| შვეიცარიის ფრანკები 100-ში | 20,86 |
| ეთიოპიის დოლარები 100-ში | 36,00 |
| იუგოსლავიის დინარები (ახალი) 100-ში | 7,20 |
| იაპონიის იენები 1.000-ში | 2,51 |


საერთაშორისო ტელეგრაფ-სატელეფონო სამსახური

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საქართველოს საავიაციო კოლეგია

ჩვენი ვისკასკათია

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.